



გიორგი გაგლოევი



ისტორიული მინიატურები





## სარჩევი

ძმობის ტრაქტატის შემდგომ	-----3
საქართველოს განმგე დავით	----- 9
აღსასრული და დაკრძალვა მეფის ირაკლისი	--- 16
სრბოლა თავისუფლებისაკენ	-----23



ISBN 978-9941-0-8307-5

გამომცემლობა „ლიტერა+“  
1400 გორი, ჯორბენაძის №28  
ტირაჟი 50 ეგზემპლარი

## ძმობის ტრაქტატის შემდგომ

რაციონალიზმის მომაბეზრებელი ოცნებებით დაღლილი XVIII საუკუნე ბოლო მშიერ და რევოლუციებით გათანგულ ათწლეულებს ითვლიდა; უგერგილოდ და უსახოდ დაშლილი საქართველო კი - ყიზილ-ბაშთაგან დაღლილი, ღალატისაგან დაღრღნილი, ლეკთაგან შეწუხებული, თავისი გამირული დამოუკიდებლობის ბოლო ფურცლებს წერდა ისტორიის სისხლით გათხვრილ ფოლიანტებში...

და მაინც, მაჰმადიანური ინდივიდუალიზმით სულშეხუთული საქართველო იმედით შესცქერის მართლმადიდებლობის ამაყ ბურჯს, თოვლითა და ოქროსფერი ეკლესიებით გადაჭედებულ რუსეთს, რომლის ორთავიანი არწივის ბასრი თვალი მიჰყრობილია კონსტანტინოპოლისაკენ - აღქმული ქვეყნისაკენ, მისკენ სავალი ჯადოსნური გზა კი მაინცდამაინც ამ საქართველოზე გადის; ხდება რუსეთ-საქართველოს ინტერესების დამთხვევა, რის შედეგადაც ქრისტეს აქეთ 1783 წლის 24 ივლისის გრილ დილას, კავკასიონის მთის ძირას გაშენებული ციხე გეორგიევსკის დახავსებული კედლები მოწმენი ხდებიან ორ ქვეყანას შორის დადებული ძმობის ტრაქტატის საზეიმო ცერემონიალის დადების, რომლის ძალისა და მარადიული ძმობის განსამტკიცებლად პროვინციულ ვორონეჟში დამზადებული ძველი ბრინჯაოს მოჩუქურთმებული ზარბაზნებიდან 101 გაისროლეს. მაგრამ ძმობა მხოლოდ სიტყვითაა მტკიცე; ჯერ კიდევ არ დაჟანგებულა დაუნდობელ ოსმალ იანიჩართა ბასრი მახვილები, რომელთა წვერი დასავლეთ საქართველოსკენაა მოღერებული. ამიტომ რუსეთი იძულებულია ტრაქტატის პირველი პირიდან საჩქაროდ ამოშალოს სიტყვები „...და იმერთ მეფე სოლომონ“ და საუკუნეობრივი ძმობა მხოლოდ ერეკლეს შესთავაზოს, რომლის საფუძვლის განსამტკიცებლად ტფილისის ვიწრო და მტვრიანი ქუჩაბანდები რუსთა ორი ხმაურიანი ბატალიონით ივსება.

...არაბესკებივით ჭრელი მაჰმადიანური სამყარო დაუფარავმა შიშმა მოიცვა: ადერბეიჯანის წვრილმანმა ხანებმა საკუთარი ინტუიციის საღი ალღოთი იგრძნეს მფარველობითი ტრაქტატის შორს მიმავალი გეგმები და ერთსულოვნად აბორდდნენ. ახალციხის ფაშა სოლეიმანმა, რომელსაც მანამდე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერეკლესთან, ახლა, „გურჯი გიურის“ წინააღმდეგ მხსნელად ალლაჰსა და ოსმალეთს მოუხმო. შუშის, განჯის, შამშადალის, შამქორის, ყაზახის მმართველებმა, რომლებიც მანამდე პირით ერეკლეს მხეს ლოცულობდნენ, გულით კი მისი მახვილის ეშინოდათ, ერთმანეთის მიყოლებით ანტიქართული კოალიციების შეკოწიწება დაიწყეს, ხოლო ოსმალეთმა კი სტამბოლის მოედანზე, რიგით ღმერთმა იცის მერამდენედ საღვთო მწვანე, მუჰამედის დროშა ააფრიალა

და მომავალი ომის პროლოგად, 1785 წლის გაზაფხულს საქართველოს დაღესტნის ბატონი მრისხანე ომარ-ხანი შეუსია.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ერეკლემ მთელი იმედები ტრაქტატის რეალურ შესრულებაზე დაამყარა; იგი წერილს წერილზე უგზავნიდა კავკასიის ხაზის მთავარსარდალს უნიათო და მუდამ უხასიათო გენერალ მიხაილ ლეონტიევს, რომ მას დაუბრკოლებლივ გაემგზავრებინა მიყრუებული სტავროპოლიდან ზაზა სოლოლაშვილი ფეერიულ პეტერბურგში (ჯერ კიდევ 1785 წლის აგვისტოში, ომარ ხანის მოსალოდნელ შემოსევამდე) საქართველოს სრულუფლებიან ელჩთან გარსევან ჭავჭავაძესთან, რათა ამ უკანასკნელს დროულად მოეხსენებინა რუსეთის დიდებული საიმპერატორო კარისათვის მოახლოებული შემოსევის ამბავი, ხოლო თვით ლეონტიევსაგან კი მაშველ ძალას ითხოვდა; მსგავსი წერილები გაეგზავნა კავკასიის ხაზის სარდალს იპოქონდრიკ პოტიომკინსაც:

„... შეგახსენებთ, რომ თუ ამ 12-15 დღეში მანდედან ჯარი არ მოვიდა, დაჯერებით ბრძანდებოდეთ დიდის განსაცდელის მოლოდინის ფიქრში ვიქნებით“...

მაგრამ ენერგიული ერეკლეს ხმა რჩებოდა „ხმად მღადადებლისა უდაბნოსა შინა“. 1785 წლის 14 და 18 ოქტომბერს დაღლილმა ერეკლემ ერთხელ კიდევ დაანამუსა უნამუსო პოტიომკინი, მაგრამ დახმარება ისევ ნოლის ფასს უდრიდა. და შედეგმაც არ დააყოვნა: 5 ნოემბერს პატარა კახი დაწვრილებით აღწერს რა სასიყვარულო ინტრიგებით მოუცლელ პოტიომკინს ლეკთა მიერ კახანის ციხის აღების ამბავს, გულმოკვლით უმატებს: „...ქუყყანა წამიხდა და მეც მტრის საცინელი შევიქენ“.

პირველ რაუნდში გამარჯვებული მაჰმადიანური სამყარო შეეცადა მოერჯულებინა „ურჯულო“ ერეკლე და მისი ქვეყანა მუსულმანური სულიერი კონფედერაციის ტანჯულ სამწყსოდ ექციათ; რუსეთის შეუდარებელი სიდინჯით გათამამებულმა ოსმალეთმა ახალციხის ფაშის, მუდამ ნივრის სუნად აყროლებული სოლეიმანის პირით შემოუთვალა ერეკლეს: რუსეთს ჩამოშორდი და მეტ სარგებლობას დაგწევო. უღალატო ერეკლემ უარი შეუთვალა. ამით აღმფოთებულმა თურქეთმა ბათუმისა და ფოთის ციხეთა დანესტიანებულ-დახავსებული გალაგნების გამაგრება დაიწყო, ხოლო კახეთს კი, ღმერთმა იცის რიგით მერამდენედ, თორმეტი ათასი ნაქირავები დამშეული ლეკი შეუსია. ერეკლეს ისღა დარჩენოდა 6 აგვისტოს წერილი გაეგზავნა მოუცლელი პოტიომკინისათვის:

„... ნუ ათქმევინებთ ვისამე ამას, რომ დიდის ეკატერინეს ჟამსა და ხელმწიფობაში რუსეთის შეერთების მიზეზით მოუშვებლობით დაიქცა საქართველო...“

ეკატერინეს ბრწყინვალე კაბინეტი კი რუსეთ-თურქეთ-სპარსეთის

წინააღმდეგობათა კავკასიურ გზაჯვარედინზე, ჯერ-ჯერობით ყველაფერს მხოლოდ თავის ინტერესთა თარგზე ზომავდა.

უსულგულო შინაური და გარეული ძალების მიერ მიტოვებულმა დანადვლიანებულმა ერეკლემ, სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ახალციხის გაბოროტებულ ფაშას აღუთქვა - რუსის ჯარს მეტს აღარ შემოვუშვებო... საქართველოს მდგომარეობით გულდამწვარი იესე ბარათაშვილი თავის „ისტორიაში„ წერდა:

...აღდგენენ ყოვლის მხრივ მაჰმადიანნი ქრისტიანთა ამოსაწყვეტად... დიდი განსაცდელი გვიძს...

ამასობაში ერეკლემ გადაწყვიტა ქართული გამირობის ძველი მაგალითებისათვის ახალი სიცოცხლის სული ისევ შთაებერა: დამშეულ დაღესტნელთა ყაჩაღური შემოსევების უკუგების მიზნით, 1787 წლის სექტემბერს რუსულ-ქართული მხედრობით განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა - ერთმანეთთან შეხმატკბილებული კოალიციური ჯარი უკვე ნანატრ გამარჯვებას ზეიმობდა, რომ მოულოდნელად რუსთა ჯარის რეზიდენტს ინტელექტუალ ბურნაშოვს იპოქანდრიკ პოტიომკინისაგან ბრძანება მოსდის - 1787 წლის 15 ივლისს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების გამო, რუსთა ჯარი საქართველოში დაბრუნების ბრძანებას იღებს. დაფდაფების ხმაზე სამხრეთის მზით დამწვარი 1800 რუსი ჯარისკაცი ჩახუთულ განჯიდან ჯერ გამტვრიანებულ ტფილისში შედის, შემდეგ კი ცივ ჩრდილოეთში მიემგზავრება, საქართველოში კი „მფარველობითი სიგელის“ და თვალთმაქც მალოროსიელ მხატვარ ბოროვიკოვსკის მიერ შესრულებულ ეკატერინე დიდის საპარადო სურათის ასლს სტოვებენ მხოლოდ; თავგამოდებული ფელდმარშალი პოტიომკინი კი იმდენად უტიფარია, რომ 1788 წლისათვის უმწეოდ დატოვებულ ერეკლეს „მეგობრულად“ ურჩევს: კავშირი შეკარი სოლომონთან და ოსმალებს საკუთარი ძალებით შეებრძოლეთო. მწარე გამოცდილებამ ერეკლე სწორ გზაზე დააყენა: მან იმდენი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა, რომ აბოზოქრებული მტრები დაამშვიდა და შედარებით მშვიდობა ჩამოაგდო.

1792 წელს რუსეთ-თურქეთის ომს, რომელსაც პრუსიის ჰიპერაქტიული მეფე ფრიდრიხი ბრძებისა და კოჭლების ომს უწოდებდა, იასის უგერგილო ზავით წერტილი დაესვა და გულმოსულმა რუსეთმაც თვალი ისევ აღთქმული დარდანელისაკენ მიმავალ გზას მიაპყრო, რომელსაც უკვე დიდი ხანია ველურის თვალებით ზვერაგდა თეირანიდან დამთხვეული ალა-მაჰმად ხანი. 1786 წელს ალა-მაჰმად ხანმა გადატილიანებულ შირაზზე გალაშქრების წინ ერეკლეს შემოუთვალა:

...„მე თქვენთან დიდის დოსტობის და მეგობრობის მონდომე ვარ: მსურს რომ მე და შენს შორის სიყვარული და მეგობრობა იყოს“...

ერეკლემ დოსტობაზე მკვახე უარი განუცხადა და იასამნის ზეთის სუნით გაჟღენთილი ირანის მზრძანებელი სიბრაზისაგან შეშლილობის საზღვარზე დადგა; სასიყვარულო ტრფილისაგან თავისუფალმა ალა მაჰმადმა მთელი შინაგანი ბნელი ენერგია მიზანთროპულ მყრალ გრძნობებზე გადაიტანა; ბინძურ სურვილს სისხლიანი საქმეც მოადევნა, 1791 წელს ადერბეიჯანის ყარაბაღში შეიჭრა და ჩაღმით თავდამშვენიებულ ხანებს მორჩილება უბრძანა. მშიშარა ხანებმა თავის დაცვის მიზნით, სახანოები ერეკლესადმი მორჩილ ტერიტორიებად გამოაცხადეს, ბრძოლებისაგან ხელები დაიბანეს და მომავალ სისხლისღვრაში საბედისწერო როლი ერეკლეს გადაულოცეს. საქართველოს თავზე ისევ შავი ღრუბელი გადაეფარა და ერეკლეც იძულებული გახდა 1792 წელს ეკატერინესათვის ცხრა წლის წინ დადებული ტრაქტატის არსებობა ისევ შეეხსენებინა. პასუხმაც არ დააყოვნა:

„...საქართველოში ჯარის გამოგზავნა ეხლა საჭიროდ არ არის ცნობილი“ (1792 წლის 8 მაისის წერილი).

საქართველოსდა საბედნიეროდ სპარსეთში ატეხილმა შინაომმა 1792 წელს ალა-მაჰმად ხანს საშუალება არ მისცა საქართველოშივე ბარბაროსობის კლასიკური სურათი განეხორციელებინა.

1794 წელს ნაადრევად დაბერებულმა ალა-მაჰმად ხანმა თვალები დასთხარა უკანასკნელ მეტოქეს ლოტფ-ალა ხანს და 1795 წლის მაისში ქურთებით გადავსებულ გატილიანებულ თავრიზში ასიათასიანი ჯარის შეგროვება დაიწყო. იმავდროულად ერეკლემ ლიყიანი გარსევან ამილახვარი სასწრაფოდ აფრინა რუსეთის კავკასიის ჯარის მმართველ მუდამ უხასიათო გუდოვიჩთან და სამი ათასი მეომარი სთხოვა, მაგრამ გუდოვიჩი ტოტლებენზე ნაკლები გონებააღლუნგი როდი იყო: ჯარის მიცემაზე კატეგორიული უარი განუცხადა და „მისი უბრწყინვალესობის“ ინსტრუქციების მიღების მიზნით ელჩი პეტერბურგში გაგზავნა. ტრაქტატის ძალით დაიმედებულმა ერეკლემ თვალი ამაყად გაუსწორა სამხრეთელ დესპოტს. პოლიტიკური გრძნობები ფატალური აუცილებლობით დაიძაბა. გათამამებულმა ყარაბაღის მმართველმა იბრეჰიმ-ხანმა თავის მხრივ იმედები ერეკლეზე დაამყარა და ციხე - ქალაქ შუმის გამაგრება იწყო. სომხეთის პატრიარქმა ეჰმიადინის დამალულ საგანძურთან ალა-მაჰმად ხანს 80 ათასი მანეთი და 8 გირვანქა ოქრო გაუგზავნა დიდი მეგობრობის მოკითხვითა და მისივე ჯანმრთელობაზე ყოველდღიური ლოცვების ადვლენის ინფორმაციით; ერევნის მმართველი, მანამდე ერეკლეს მორჩილი, მლიქვნელი მოჰამედ-ხანი კი ციხეში ჩაკეტა და მელანქოლიაში ჩაეფლო. ისევ რუსეთის მოიმედე ერეკლემ კი „დოსტობის“ მთხოვნელ ალა მაჰმად ხანის მიერ გამოგზავნილი ბაქოელი იასაული სატუსაღოში ჩააგდო და ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით ჯარები

ყარაბაღელ და ერევნის ხანებს მიაშველა.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. სამი თვის განმავლობაში - მასიდან სექტემბრამდე საოცარი მოთმინების გარსევან ჭავჭავაძე ამაოდ ახლიდა დიპლომატიურ კვერთხს ზამთრის სასახლის მჭიდროდ დახურულ კარს:

„...სპარსეთის ახლანდელი მბრძანებელი, ალა-მაჰმად ხანი, საქართველოში თავსდასახმელად ეშაადება... გთხოვთ გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის მაღალი კარი ტრაქტატით გათვალისწინებულის დახმარების აღმოჩენასა“...

სამი თვის განმავლობაში ერეკლე კვლავ ამაოდ, მაგრამ დაჟინებით გასცქერის თოვლით გადათეთრებულ მდუმარე ჩრდილოეთს. ბოლოს პეტერბურგის ბრწყინვალე საიმპერატორო კარმა როგორც იქნა ინამუსა და მიიღო ნანატრი დადგენილება დახმარების თაობაზე, რომლის განხორციელება საჭიროებას აღარ წარმოადგენდა: რუსეთთან ერეკლეს სიახლოვით გამძვინვარებული საჭურისი 1795 წლის 11 ნოემბერს სამასი არაგველის სისხლით მორწყული კრწანისის ველით შემოდის ორგული ტფილისელების - არუთინა არარატინანცისა და იოსებ ბებუთოვის დახმარებით ათასწლოვან ქალაქში და აღმოსავლელ ბარბაროსთა ჩვეულები-სამებრ წვავს, ანგრევს, ბილწავს და აოხრებს. 61 ათასი კომლიდან საქართველოში 35 ათასი კომლიდა რჩება. დარჩა ქვეყანა აოხრებული, განუკითხავი, ბედმეკრული;

ასე იყო;

ალა- მაჰმად-ხანის მემატინანე გულცივად ამბობს:

- „... ამ დღეებში ხანმა უჩვენა ურწმუნო ქართველებს, თუ რა მოვლით განკითხვის ჟამს“.

სიბერის დროს მოკავშირის მიერ უღვთოდ მოტყუებული ოთხმოცი წლის მეფე მწუხარებით სასოწარკვეთილი ანანურის ციხეში შეიხიზნა. ალა-მაჰმად ხანმა არც აქ მოასვენა: მძევალი გამომიგზავნე და სამაგიეროდ ტყვეებს დავაბრუნებ და ტფილისს აღვადგენო... უბედურებაში ჩავარდნილმა ერეკლემ თავის დამცირება არც ახლა ინდომა.

დიდი ხნის ნანატრი ბრძანება დახმარების თაობაზე კავკასიის ჯარის უფროსს ტფილისის აოხრებიდან თვრამეტი დღის შემდეგ მოსდის. მაგრამ ჯარი უმოქმედოა, რამეთუ რაღაც პროვინციალური მტვრიანი ტფილისის აოხრებას არ სთვლის საპასუხო ღონისძიებების დაწყების მიზეზად. ბოლოს ეს „მნიშვნელოვანი მიზეზიც“ გამოჩნდა: 1795 -1796 წლებში კასპისპირა ნესტიან ენზელში ხანის ბრძანებით რუსი ვაჭრები დაარბიეს. ამით აღშფოთებულმა ეკატერინე დიდმა ამიერკავკასიის სახანოებს ირანის წინააღმდეგ ომის დაწყების მანიფესტის ოქროსფერი ასოებით მოვარაყებული პირები დაუგზავნა და მგზნებარედ შეავედრა



მშვიდობის დაცვისათვის ირანის წინააღმდეგ ერთიანი დარაზმვა:

„...შეისმინა რა საქართველოს თხოვნა მფარველობისა და დაცვის შესახებ და ა.შ. და ა.შ.“

მაგრამ ამაყმა გრაფმა ზუბოვმა ირანზე შურისძიების ნაცვლად ყუბისა და ბაქოს უდანაშაულო ხანთა სამფლობელოების აოხრება დაიწყო. სამარი მოქმედება თავისი ბუნებრივი გზით მიმდინარეობდა და თავიანთი მომავალი გამარჯვების გამოსაყენებლად რუსეთს მრავალი ერთი მეორეზე უფრო საოცნებო გეგმები ესახებოდა, რომ ეკატერინე დიდად წოდებული მოულოდნელად ინსულტით გარდაიცვალა, ხოლო მემკვიდრემ, დამთხვეულმა პავლე პირველმა ექვსი დეკემბრის მანიფესტით რუსეთის ჯარი უკან გამოითხოვა; ალა-მაჰმად ხანი სიხარულით ცას ეწია. საქართველო კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა და მას ანტიკური სამყაროს სავალალო ბედი არ ასცდებოდა, თუ არა 1797 წლის 4 ივლისის ღამე, როდესაც მიყრუებული განჯის მისადგომებთან ალა-მაჰმად ხანმა თავისი ბილწი სული მუჰამედს იძულებით ჩააბარა. საქართველოს შემთხვევით გადარჩენა კი რუსეთმა იმ მიზნით გამოიყენა, რომ ვითომდა საზღვარდაცვალო საქართველო დახმარებას აღარ საჭიროებდა და... იმავე წლის სექტემბერს უკანასკნელი რუსის ჯარისკაციც გავიდა საქართველოდან. ქართლ-კახეთი ისევ მარტოდმარტო აღმოჩნდა მაჰმადიანურ ნახევარკუნძულზე.

...მაგრამ მარადიული დრო კი იცვლებოდა;

ირანი და ოსმალეთი ღრმა პოლიტიკური კრიზისის მოვლენებმა მოიცვა... 1798 წელს, 11 იანვარს დარდით დამძიმებული ეთხოვება სიცოცხლეს ერეკლე, ხოლო ფეხებმორყეულ საქართველოს სამეფო ტახტზე ადის მისი ავადმყოფი მემკვიდრე გიორგი მეთორმეტე.

„კავკასიური ცარცის წრის,, წინააღმდეგობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მოხსნილია. ამით სარგებლობს რუსეთი და ახალ მეფეს „ახსენებს“ 1783 წლის ტრაქტატის მუხლებს, ხოლო მისი აუცილებელი შესმენის მიზნით 1799 წლის 16 აპრილს ჯერ კიდევ გაყინულ ტფილისში იგზავნება 2 ბატალიონი და სრულუფლებიანი ელჩი თავგამოდებული და ფლიდი კოვალევსკი, რომლის მოვალეობას მეფეზე საიდუმლო თვალთვალი უფრო შეადგენდა, მისი ამალის წევრი მუსინ-პუშკინი კი საქართველოს წიადისეულის საკითხის შესწავლითაა გართული...“

სრულდებოდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვა:

- ,,...ვგონებდი, რათა ყოს ყურძენი, ხოლო ყვნა ეკალნი,,

საქართველოს ბედკრული ისტორია კი ახალ ფაზაში შედიოდა...



## საქართველოს განმგე დავით

ოჰ! ღმერთო ჩემო, ეს გაჭირვებული საქართველო ურჯულო მტრის გასაკვირად, ჯერ ისევ ძლიერი იყო - საოცარი პატარა კახის ორმოცწლოვანი ნაომარი და ნამოღვაწარი;

მაგრამ ამ დიდი და საიმედო რეალობის პირისპირ მაინც არსებობდა არანაკლები დამანგრეველი პოტენციისა და ქართველთათვის საშიში პერსპექტივის მქონე მეორე რეალობა - ერეკლეს ბიოლოგიური მრავალნაყოფიერება, რომელიც ქვეყნის შინაგანი დაქსაქსვის ხელშემწყობი შექმნილიყო...

ერეკლე სამჯერ იყო ნაქორწინები; პირველ ცოლად ჰყავდა ვერცხლისწყალივით დაუდეგარი კახელი ქეთევანი, ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული, რომლისაგანაც შეძენილი სამი ბავშვი რუსუდან, ვახტანგ კარგი და ერთიც უცნობი, ადრევე დაეხოცა; მეორედ, 1745 წელს შეირთო ანნა, ზაალ აბაშიძის გრძელცხვირა ასული, რომლისაგანაც შეეძინა გიორგი და თამარი; 1749 წელს ანნა გარდაიცვალა და ერეკლე მესამედ დაქორწილდა თავნება და ეგოისტ დარეჯანზე, კაცია დადიანის ასულზე, რომელთანაც შეეძინა: ლევანი, სოლომონი, სოსლან-დავითი, არჩილი, ლუარსაბი, იულონი, ვახტანგი (ადრევე მოუკვდა), კიდევ ვახტანგი, რომელსაც დაშინებულები თელეთელი მკითხავის რჩევით ყოველთვის აღმასხანს ეძახდნენ, თეიმურაზი, მირიანი, ალექსანდრე, ფარნაოზი, ელენე, სოფია, სალომე, თეკლა, ეკატერინა, მარიამი, ქეთევანი, ხორეშანი და ანასტასია. ისე კი მერე რა, რომ ნაბოლარა შვილები რატომღაც დარეჯანის „მუზიკის მასწავლებელს,, „რიჟა,, ოსევა ყორღანაშვილს წააგავდნენ.

საქართველოს სამეფო კანონების მიხედვით, რომელიც ერეკლეს 1790 წელს ისტერიული დარეჯანის დაჟინებული მცდელობის გამო მიუღია, ამიერიდან სამეფო ტახტი ძმიდან უფროს ძმაზე გადადიოდა; დარეჯანის მიზანი აშკარად სჩანდა: საძულველი და უკვე დაავადებული გერის, გიორგის შემდეგ ტახტზე მისი ძეები უნდა ასულიყვნენ. გამოდიოდა, რომ ერეკლეს შემდგომ ტახტი ეკუთვნოდა მისვე უფროს ძეს გიორგის, რომელიც თავის მხრივ ორჯერ იყო დაქორწინებული და ერთიანობაში თვრამეტი შვილი ჰყავდა, რომელთაგან უფროსი იყო დავით.

მეფისწული დავითი, მუდამ თევზი სუნითა და ზურნის ჭყვიტინა ხმით გაყრუებულ ორთაჭალაში დაიბადა 1769 წელს. მან, როგორც ტახტის რეალურმა მემკვიდრემ, იმდროისათვის ფართო და მრავალმხრივი განათლება მიიღო, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მწიგნობარსა და მოღვაწეს, მუდამ მდუმარე და დაღონებულ დავით რექტორს, რომლისადმი პატივისცემა ტიტულოვანმა აღსაზრდელმა

მომავალში თავის მიერ ნათარგმნ „ნაბუქოდონოსორისაგან წარტყვევნა იერუსალიმისა“- ს სატიტულო ფურცელზე გამოხატა მიძღვნის სახით:

- „ბრძენს, მეცნიერსა, სწავლულსა კაცსა, განვითარებულს, ქართველისა თვალსა“...

ძალიან მალე ქართულ ტრადიციულ აღზრდას ევროპული განათლებაც დაერთო. მის ამ მიმართულებით განვითარებას ხელმძღვანელობდნენ 1789 წელს ერეკლეს მიერ სტამბოლიდან მოწვეული ავსტრიელი მეცნიერი გეტინგი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ყელამდე შეკრული ბაფთებითა და ფლამანდიური მაქმანებით უფრო გახდა ცნობილი კალოუზნელი ლოთი კინტოებისა და დიდმელი მემაწვენე ქალებისათვის და პავლე პოტიომკინის მიერ გამოგზავნილი, ექსტრავაგანტური ჩაცმულობის მოტრფიალე, გაურკვეველი წარმომავლობის გერმანელი რეინგესი, რომელსაც მეფეზე თვალთვალი უფრო ჰქონდა დავალებული, ვიდრე აღზრდებლობითი მისია. როგორც სჩანს, მათი გავლენითაა დავითის მიერ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მაღალი დემოკრატიული სულისკვეთებით შეფასება, თავისივე საძინებლის კედელზე უცნაურკულულობიანი კაცის პორტრეტის ქონა, რომელსაც ფრანგები თურმე „როუბიესპიერს,, ეძხდნენ ანდა „უღმერთო,, ვოლტერის მოძღვრების გაცნობა, საიდანაც იღებს სათავეს „ქართველთა პრინცის ვოლტერიანელობა“.

...იგი წარმატებით ეუფლება ისტორიას, პოლიტიკას, ლიტერატურას, ფიზიკას, მინერალოგიას, ესთეტიკას... ყოველმხრივ შემკული ძე, რომელსაც ყოველ დილით ევროპულად დახვეწილი ესთეტი რეინგესი ისედაც დატალღულ გრძელ თმებს ბატკანივით უკულულებდა, ძლიერ ჰყვარებია გიორგი მეფეს. პლატონ იოსელიანი წერს:

- „...მეფესა დიდად უყვარდა შვილი თავისი დავით, ყოველთა შვილთა და ძმათა შორის უუგონიერესი, ცქვიტი, ფხიზელი და მარჯვე სიტყუითა და საქმითა“.

პოლიტიკურ სარბიელზე მისი გამოსვლა „დამრიგებელ“ რეინგესის ექსტრაორდინარული პოლიტიკის დაწყების გამო მოხდა: თბილისის ვიწრო ქუჩაბანდებში მოსეირნე რეინგესი გაცეცხულ თბილისელებს ევროპული ენაწყლიანობით მოუწოდებდა შეექმნათ თეთრ ტანსაცმელსა და ზედ წითელ ჯვარამოკემსილი ფორმიანი საჯარისო ქრისტიანული რაზმები, შეკრებილიყვნენ ბიბლიურ არარატის ზვიადი მთის ძირას, დაემხოთ მრისხანე ყაჯართა სპარსეთის სამეფოს ბნელი ძლიერება, აედოთ ანატოლია და ღვთისკურთხეულ კავკასიაში ერთიანი, ძლიერი, ქრისტიანული სამწყსო შეექმნათ, ოღონდ რატომდაც ბრწყინვალე დიდი სომხეთის სამეფოს სახელით. ამგვარი ფანტასტიკური ილუზიისათვის მეტი რეალობა რომ მიენიჭებინა, რეინგესმა ამ „ღვთის მეომარ“

რაზმების მეთაურად 14 წლის დავითი „დანიშნა“ და ვენიდან გამოწერილი ისეთი პოზუმენტებითა და ჯვრებით გაწყობილი ფორმა ჩააცვა, რომ მის დანახვაზე მორწმუნე გიორგი XII შიშით პირჯვარს იწერდა.

ილუზორული გეგმები ცხოვრებაში ლამაზ ოცნებად ისახებოდა, მკაცრი რეალობა კი უფრო პროზაულ მაგალითებს სთავაზობდა რომანტიკოს დავითს, რომელიც სადამობით სასახლის ხის მოაჯირს გადაეყუდებოდა და იმ ნაღვლიან ბაიათს მღეროდა, თბილისის ათასი ჯურით გადავსებულ ბაზრის შესასვლელში, რომ მღეროდნენ გულდათუთქული ზურნიანი თათარი აშულები:

„ ჩემი გული შენ დახიე, დაკოდე,  
ხელეხს ითბობ, მე კი ალში გამხვიე...“

1787 წელს ეკატერინემ დიდად წოდებულმა დავითი სამეფო სამსახურში აიყვანა, 1798 წელს კი ძმასთან, იოანესთან ერთად ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერას უნდებდა, რომლის შედეგები გულის გამხეთქავი იყო მეფე გიორგისათვის: სულ ქართლ-კახეთში 35 ათასი კომლილა დარჩენილიყო.

დავითი ხასიათით სულ არ ჰგავდა მამამისს, რომლის მთავარ ინტერესთა სფეროს სამხარეულოში მიმდინარე კულინარული მზადება და გულის ამაჩუყებელი წირვა-ლოცვა წარმოადგენდა. ამ დაუდევარი ახალგაზრდის სხეულში უფრო პაპის, დიდი ერეკლეს მეომარი სული მძვინვარებდა: 1790 წელს 21 წლის დავითმა თურქებს ყარსის ციხე წაართვა, დაამარცხა და ალაგმა საქართველოში მოთარეშე ლეკები, 1795 წელს მეწინავეთა რიგებში ებრძვის დაუღალავ ალა-მაჰმად ხანს, 1796-ში კი თავხედ იბრაჰიმ ხანს; დავითმა გაათავისუფლა ჯავახეთის ციხე-სიმაგრე, განჯა...

საქართველოს ბრწყინვალე მომავალი ელოდებოდა - მომავალი დიდებისა, ძლიერებისა და ერთიანობისა, მაგრამ ქართველ ხალხს ისტორიის კაპრიზ ქალბატონ კლიოსაგან აღდგინება წართმეული ჰქონდა.

1799 წლის 10 აგვისტოს მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ დარბაზში მეფედ ეკურთხება გიორგი მეთორმეტე. საკმევლის კვამლით გაჯერებულ ჩაბნელებულ დარბაზში უზომოდ გასუქებულ და თავდახრილ გიორგის თავზე გვირგვინს ადგამს ბიძამისი ანტონ კათალიკოსი, ხოლო გერზე გაბოროტებული დედინაცვალი დარეჯანი კი წმინდა სვეტიცხოვლის ტაძარშივე ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს მეფედ კურთხევას და ამბიონის მწვანე აბრეშუმის გადასაფარებელს ჩაბლაუქებული ანტიკური ტრაგედიის განწირული გმირივით საჯაროდ ყვირის ტაძარში :

– „იკატერინა მეორესავიით მიიიხნდა ვიდედოფლოოოო“... მაგრამ ამაოდ, და ამიერიდან „დედოფალი დარეჯან და შვილნი მისნი, არამოსურნენი მეფისა და გიორგისა, მეცადინებდნენ იღუმალ, რათა

სიტყვითა და საქმითა ადაფუნონ შფოთი, ურჩობა და უწესობა”; გაუბედავი და დათრგუნული გიორგი უძლური ხდება ოჯახური შინააშლილობის მოგვარებაში. მისი ნახევარძმები უმეტეს წილად მონანი არიან დარეჯანისეული ეგოიზმისა, პატივმოყვარეობისა და მეშურნეობისა; ყოველი მათგანი ფანატიკური გააფთრებით მოითხოვს საკუთრებაში ისტორიულ სარბიელზე დაქანცული ქართველის მრავალჭირნახულ საუფლისწულოებს. ფეოდალური ეგოიზმი და სეპარატიზმი ისევ დამლუპველ მაჯლაჯუნად აწვა საქართველოს. სრულდებოდა ქართლის ჭირის მოზიარის დავით გურამიშვილის მწარე სიტყვები „აღმა ხვნისა და დაღმა ფარცხვის” შესახებ; იქნებ ამიტომაც იყო, რომ რუსთა დიდებული მმართველი ეკატერინე დიდი შიდა სახელმწიფო მიმოწერაში დარეჯანს ყოველთვის ერთი სიტყვით მოიხსენიებდა: „სტერვა.“

გიორგი კი ოლიმპიელი ღმერთივით კვლავ „გულგრილია” ოჯახური განხეთქილების მიმართ... სულაც არ იშლიდა იგი ნერვებს თბილისის ტალახიან შუკებსა და ვიწრო ქუჩაბანდებში, მისი რუსეთთან დაახლოების პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი აქტიურად რომ ავრცელებს მოყვითალო ქაღალდზე ლამაზი კალიგრაფიით დაწერილ შაირებს:

ქართლის მეფემ ააშენა,  
ეკლესია მთაზედაო.  
საქართველო სხვას დაუთმო,  
თვითონ დარჩა მშრალზედაო!,,...

ხოლო მეორე ნაწილი კი, იმავე ხარისხის ქაღალდზე დახატულ კარიკატურებს, სადაც ტახტზე წამოკოტრიალებული გიორგი მეფე, დიდი ორთქლადენილი ჯამი და რატომღაც, ჭრელი რუსული დოლი იყო დახატული...

არც იმაზე გაბრაზებულა გიორგი, როცა გაიგო, რომ მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან შეკრებილ თბილისელ ლეკებს შორის მისი ნახევარძმების აგენტები, რომ დამკვრებიან და ჩურჩულით დიდ საიდუმლოებას ავრცელებენ გონებაშეზღუდულ სუნიტებს შორის:

- საქართველოს მეფე აუცილებლად მეფისწული იულონი უნდა იყოსო, რადგან თურმე, „დიდება ალაჰს, ერთადერთსა და ჭეშმარიტს,, მასაც მუჰამედის მსგავსად ჭიპის გარშემო მწვანე ლაქა ააქვსოოო...

ძველებური მხურვალე სიყვარული მხოლოდ ნიორწყალში აფხაზურად შეკაზმულ-მოხარშული ზაქის ხორცისადმი და ლოცვებისადმი შეინარჩუნა; არც მწიგნობრობა იწამა, ძლივს გაუძლო ძმის, ანტონ კათალიკოსის, ორიოდ ლექციას, მერე ხელი ჩაიქნია და შესძახა:

- არა მესმის ესა, ვნაყავ წყალსა ”...

დრო კი კალეიდოსკოპიური სიჩქარით იცვლება – 1800 წლის 28 დეკემბერს წყალმანკით დაავადებული სიცოცხლეს ეთხოვება დამოუ-

კიდებული საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII. ვაგლახ, ეს ავადმყოფობა ერთადერთი სადარი მაგალითია, რითაც დაემსგავსა გიორგი დიდ ერეკლეს; ჯერი მის უფროს მეზე, დავითზე დგება; იგი მეფედ დამტკიცდა ჯერ კიდევ მამამისის მეფობის დროს, 1799 წლის აპრილს. მეფედვე სცნო რუსეთის ზვიადმა იმპერატორმა პავლემაც, მაგრამ იმპერატორთა გუნება-განწყობილება ცვალებადია. მალე ქვეყნდება მანიფესტიც:

-, ...მისი უდიდებულესობა იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა, ციმბირისა, ფინეთისა და პოლშისა მიიღებს ახალ ტიტულსა მეფე საქართველოსა და შემდგომნი ესე მისნი მემკვიდრენი... ძე მეფისა გიორგისა დავით მიიღებს ტიტულსა განმგე საქართველოსა და გარდავალს ესე შთამომავლობითა პირმშოდამ პირმშომდის მისთა”...

იგი დიდხანს ამაოდ ელოდებოდა საქართველოს მორეყულ სამეფო ტახტზე დამტკიცებას, ლეზულობს კი წოდებას საქართველოს „რელენტისა”.

დავითი კარგად ხედავდა, რომ ამ ეფემერულ ტახტზე მის ასვლას ეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო ცივ რუსეთში, უფრო ძლიერ მხურვალე საქართველოში ნევრასთენიკ დარეჯანის მრავალრიცხოვან შვილთა სახით. დავითს თვალწინ მამის, გიორგის სიტყვები ესახება, ხატებით გამოჭედილ ოთახში რომ არიგებდა შვილს:

-, ...სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ, ოდეს განიყო სამეფო სოლომონისა, საბერძნეთიც მაშინ დაეცა, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დადგრეს, - ზრძანებსო მაცხოვარი”.

ერეკლეს მრავალრიცხოვანი მემკვიდრეები საუფლის-წულოებში ჩასაფრდნენ, ვითარცა „ცალკე მეფენი”: თავნება იულონი ქსნის ხეობაში „გამეფდა”, ენერგიული ვახტანგი, ძმის, ლევანის სიკვდილის შემდეგ, „არავგის სამეფოს,, მეფე ხდება, მირიანი მარტყოფის, მუდამ აღზნებული ფარნაოზი კი - სურამის „სამეფოს,, პრეტენდენტად თვლიდა თავს, „სამეფოშეუხვედრელი,, დაუდეგარი ალექსანდრე კი 65 თავზე-ხელაღებული კაცით ირანის შაჰ აბას-მირზასთან თავრიზში გარბის და ქართველთა გუშინდელ მტერთან დიდი სიყვარულით და ლაქუციით ცდილობს ანარქიით დაგლეჯილ საქართველოში მეფის საკუთარი კანდიდატურა დამტკიცოს, სამაგიეროდ კი სპარსეთს კაკ-ენისელის მიწებს ჰპირდება.

ქვეყანა ნათესაური ანარქიის შავმა ღრუბელმა დაფარა.

ამიტომაც მიჰყვა სიბრძნეს დავითი: საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო და შეუდგა „საქართველოს რელენტის” მოვალეობის შესრულებას - ამიერიდან იგი მოიხსენიებოდა როგორც საქართველოს მემკვიდრე რუსთა „ღერენალ-ლეიტენანტი”

მაგრამ მისი რელენტობაც დიდხანს არ გაგრძელებულა, 1803 წლის

23 თებერვალს 78 კაციანი ამალით მიდის ფეერულ სანკტ-პეტერბურგში, სადაც დიდის პატივით ღებულობს ამაყი ალექსანდრე პირველი და ნიშნავს სენატორად, ეძლევა ხელფასი - თვეში 500 მანეთი და მიწები 2000 ყმით.

ამიერიდან იწყება მისი მეცნიერული მოღვაწეობა, რომლის დიაპაზონი აღორძინების ხანის ტიტანების სადარია: იქმნება საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელოები ფიზიკაში, გეოგრაფიაში, მითოლოგიაში, გრამატიკაში, ნადირ-შაჰის ისტორია, რომანი „ახალი შიხი“, ლექსები, თარგმანები - მონტესკიეს, ვოლტერის, ანსილიონის, ჯულველდის.

დავითის მსოფლმხედველობა წინააღმდეგობრივია: ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას დავითის ურწმუნოებით აღშფოთებულ გიორგის შეუთვლია:

- „...შვილო ჩემო დავით, თურმე ეკლესიას ტიატრს ეძახი, ცისკარს - სათამაშოს და წირვას - წარმოსდგენასა... ნუ შერები ამისთანა ღვთის გარეგან საქმესა. მოიქეც და ღმერთი იწამე”.

დავითს ასეთი პასუხი გაუცია:

- „...წადი, ასე უთხარით მეფეი მამაჩემსა, რაიცა იმას სწამდეს, მე გამიწყრეს და რაიცა მე მწამს იმას გაუწყრესო”.

ამის მიუხედავად, პარალელურად იგი წერს საღვთის- მეტყველო სახელმძღვანელოებს და ეკლესიის აგებად კი გაუნზრახავს.

დავითს მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან სდევდა სევდა სამშობლოდან დაშორებისა, რაც კარგად ჩანს მის პოეზიაში, სევდისა და მწუხარების მიზეზებზე ლაპარაკობს მეტაფორულად, შეფარვით, მაგრამ სტრიქონებს შუა ადვილად ამოიკითხება უბედურებისა და მწუხარების მიზეზი, სამშობლოდან დაშორებით, ტახტის დაკარგვით გამოწვეული ურვა:

„ რა შევიქენ სოფლისაგან  
ესრეთ მწარეთ განაწირი,  
ამის გამო შესაწყალი,  
მოთქმით სვესა ჩემსა ვჰსტირი”.

გარდაიცვალა დავითი 1819 წლის 13 მაისს, 50 წლისა. დაკრძალეს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში. ეტყობა ბედის ირონია იყო, რომ მისივე გვერდით მალე მისივე მოძულე დედინაცვალი დარეჯან დადიანი დაიკრძალება.

პეტერბურგის პრესამ მისი სიკვდილი აღნიშნა ნეკროლოგით, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ვოლტერიანელის სიკვდილი“- ასე უფრო მოხერხებული იყო: დავითი ხომ აღარ იყო, აღარც მეფე და აღარც რეგენტი, ის მხოლოდ „ვოლტერიანელი“ იყო.



## აღსასრული და დაკრძალვა მეფის ირაკლისი.

უიღბლო 1795 წლის ნესტიანი ენკენისთვის თორმეტში, ირანელ ალა მაჰმად ხანთან სასტიკი დამარცხების შემდეგ, უკვე ისედაც მოხუცებულ ერეკლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუართულდა: ფეხის კოჭები ისე დაუსივდა, რომ უზანგში ვედარ ჰყოფდა და ამიტომ იძულებული ხდებოდა ყვარლის ტყიან მიდამოებში შემოსეულ დაღისტნელ თავხედ ომარ ხანის მარბიელი რაზმების განდევნა თავის შვილიშვილს იოანე ბატონიშვილს დაავალოს; ტახტის მემკვიდრეს, მადლიანი სმა-ჰამისაგან დასიებულ გიორგის საბრძოლველად აბა სადა სცალია; აი ახლაც, ყუმიდან ჩამოტანილი იაფფასიანი ვარდის ზეთის სუნით გაჟღენთილ ჩანესტიანებულ ავლაბარშია, სოლოლაკელი მეძავი სომხის ქალებისა და ცივად მოხარშული ზაქის ხორცის კომპანიაში, სამეფო კარზე მისგან გამოგზავნილი შიკრიკი კი მამის ჯანმრთელობის მოკითხვის ნაცვლად ახლად დანაყილ ნიორს თხოულობს; მაშ რა ქნას გიორგიმ, გაციებულ ზაქის ხორცს გლდანის წყაროს წყლით შეზავებული დანაყილი ნივრის წვენის გარეშე გემოს ვერ უდებდა... მემკვიდრის ასეთი უქნარობის ამბავი იცის ერეკლემ და დარდი დღითი დღე ძალას ართმევდა...

არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ აშშორებულ ახალციხიდან თბილისში ჩამოსულმა ქურთმა მათხოვრებმა თან შავი ჭირი ჩამოიტანეს, რამაც თბილისის ატალახებულ და ნაგვით გადავსებულ ვიწრო ქუჩაბანდებში სწრაფად იწყო გავრცელება. ამიტომაც სამეფო ოჯახი სასწრაფოდ პროვინციულ და წყნარ თელავში გადადის, მაგრამ მანამდე ღარიბი თბილისელების გულის მოგების მიზნით დამწვარი ქონის სუნად აქოთებულ ორთაქალის მტკვრის სანაპიროზე სამენდობარო მაგიდა გააწყობინეს და ზედ უხვად დააყრევინეს მტკვრის ცივად მოხარშული თევზი და ჯონჯოლის მწნილი, ცოტაოდენი შოთის პური და ბლომად ტყემალი, რათა კუჭგამამდარ თბილისელ მაწანწალებსა და მათხოვრებს მეფის მალე გამოჯანმრთელებაზე რაც შეიძლება მეტის მონდომებით ელოცათ.

1797 წლის ვარდობისთვიდან მეფის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ფეხები ისევ და ისევ უსივდებოდა და რადგან სიარულიც უკვე უჭირდა, ამიტომ სულ იწვა, რაც კიდევ უფრო სტანჯავდა. დახმარების მიზნით მის ძველ მეგობარს თავად ციციშვილს თელეთიდან ვიღაც ნახევრად დაყრუებული ექიმბაში ჩამოუყვანია, რომელმაც თურმე დიდი ხნის წინ მისი ცოლი ყურის ანთებისაგან მოარჩინა და ამ ექიმბაშსაც დაუდგენია მეფისთვის:

– მეფეო, სარწყუნისის წყალმანკი გჭირსო და ამიტომ რაც შეიძლება მეტი „კოფი,, სვი, ფეხებზე კი თეთრი ყვავის და მტკვრის გველკუას

ქონი ერთმანეთს შეაურიე და ის წაისვიო... მისი შემხედვარე ერეკლემ ისევ თავად გადაწყვიტა თავის თავის მკურნალობა და თავისივე დაბნეული ექიმბაშების დახმარებით ლითონის პატარა ბასრი ხელსაწყოთი – ნემსტრით შესივებული წვივი დაისერა და სისხლიანი სითხე გამოუშვა. ამით მდგომარეობა ოდნავ შეუმსუბუქდა, მაგრამ ფეხების დასიების მიზეზი ალბათ მაინც გულის უკმარისობა იყო და სითხის გამოშვება მის ზოგად ჯანმრთელობას არას არგებდა.

გული არაფერზე მიუდიოდა, არაფერი უნდოდა... ძალის აღდგენისათვის შავი ქათმის ბულიონი მიართვეს ექიმის რჩევით მეფეს, მაგრამ იუარა – ახლა მარხვაა, მე რომ მარხვა გავტეხო, ხალხი რას იტყვის, თავად როგორღა მოიქცევაო. ამიტომ ჭყინტი ყველი, თონის პური და მოხარშული წითელი ჭარხალი მოუტანეს; ცოტა ყველი შეჭამა და დანარჩენი ისევ ხელუხლებელი დატოვა

უიმედოდ გადიოდა კიდევ უფრო უიმედო დრო, ერეკლე შეძლებისდაგვარად ცდილობდა ავადმყოფობას არ შეპუებოდა, თელავიდან აშკარად ნაძალადევ და უსიცოცხლო განკარგულებებს იძლეოდა. ავადმყოფობისაგან დაღლილმა მოინდომა სამეფო ხელისუფლების ნაწილი მოეხსნა და ამ მიზნით ტახტის მემკვიდრე, უფროსი ვაჟი გიორგიც დაიბარა, რომელიც სიმსუქნის გამო, ცხენზე ვეღარ ჯდებოდა და ამიტომაც დიდი, ზანზალაკებიანი ეტლით ჩამოდის თელავში, თან ცხინვალში დაკრეფილი მსხვილი შინდი ჩამოუტანა მამას – წვნიანი გააკეთებინე, პირში მჟავე გესიამოვნებო.

1798 წლიდან მეფის ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესდა. აწნისის ხუთში მკერდში უსიამოვნო ტკივილი იგრძნო, გონებაც დაკარგა, რამოდენიმე საათს განუძრევლად იწვა, შემდეგ გონს მოვიდა, წითელი ღვინო მოითხოვა, მაგრამ არ დალია. მერე ალაზანში დაჭერილი თევზი მოუტანეს, მაგრამ ისიც არ შეჭამა. ამის მერე მსახურებს გარეთ გაყვანა სთხოვა, მაგრამ ღია სივრცის დანახვაზე თავბრუ დაეხვა და საჩქაროდ ისევ უკან შემოაბრუნეს.

აწნისის თერთმეტს, გამთენიისას ერეკლემ მოძრაობის უნარი დაკარგა, თვალს ახელდა, მაგრამ შუქზე აღარ რეაგირებდა და... ასე ჩუმად, იმავე ოთახში, იმავე ჭრელ, თექაგადაფარებულ დიდ ტახტზე მიაბარა უფალს სული, სადაც 78 წლის წინ დაიბადა - სქელი წითელი ატლასის ფარდებით დაბურულ და კანდელის მძაფრ სუნით გადავსებულ ოთახში მეგრელმა დარეჯან დედოფალმა დაიწყო კვილი, რომელსაც მრავალ რიცხოვანი ჯალაბობა ხმაშეწყობილი აჰყვა, განსაკუთრებით მოახლე გოგოები, რომლებმაც ყველას დასანახავად და უფრო დაქვრივებული დედოფლის გულის მოსაგებად, გაშლილ-გაწეწილი თმების გლეჯვა და ლოყებზე მუჯლუგუნების ცემა დაიწყეს.

ჯერ კიდევ თბილი მეფის ცხედარი ორმაგ პირად გამზადებულ კაკლის ხის კუბოში ჩაასვენეს და გვამს, მალე რომ არ გაფუჭებულიყო, გარშემო თხის ტყავის პატარა ტომრებით ყინულები ჩაულაგეს. კუბო ძვირფასი ხალიჩებითა და შავი ხავერდით მორთულ დიდ დარბაზში დადგეს, იმ დიდი სარკის პირდაპირ, რუსეთიდან რომ ჩამოატანინა თავის დროზე გარსევან ჭავჭავაძეს...

ქვეყანაში დიდმა გლოვამ დაისადგურა, – გლოვობდა ყველა – დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი... მაგრამ ეს ყველაფერი განსაკუთრებით კახეთში ხდებოდა. ირონიული ღიმილით სახედამტკბარი ქართლელი თავგამოდებული თავადები კი, რომელთაც რუსეთიდან ჩამოტანილი კლეისტერიტ გრძელი უღვაშები ყურებამდე აეპრიხათ, უკვე ქართლის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროზე მსჯელობდნენ, რომ როგორმე დროზე გასცლოდნენ „ამ ირანის მონა კახელებს, რომელთა თავადებს, ჯერაც არ ჩამოეწმინდათ ტუჩებიდან ირანის შაჰთა ქოშების მტვერი“ და რომლებსაც ასე უნიათოდ მიუერთა თავისი უდროო სიკვდილით ამაყი ქართლი რუსეთში მოხეტიალე მაწანწალა თეიმურაზმა, საიდანაც დოლების ბრაგუნისა და სახსრების დაავადების მეტი არაფერი არასდროს ჩამოუტანია.

დარეჯან დედოფალმა და კათალიკოს – პატრიარქმა ანტონ II მეფის გამოსვენებისა და დაკრძალვის ცერემონიალის მოწყობა თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს, მუდამ გაუცინარ და დაღონებულ დავით-ალექსი მესხიშვილს დაავალეს.

მთელს ქვეყანაში აფრინეს შიკრიკები, რომელთაც თხის ტყავის გულებში სამგლოვიარო წერილები, ცხვრის ყველი, შოთის პური და ცივი ხორცის ნაჭრები ჩაუდეს და თან შავთავშალშემოხვეული დედოფლის სიტყვით დამოდღვრეს, რომ მოსახლეობისათვის ეს ტრაგიკული ამბავი რაც შეიძლება მწუხარე სახით და ცრემლიანი თვალებით ეუწყებინათ...

დიდძალი ხალხი დაიძრა თელავისაკენ, სადაც ღამის გასათევი ადგილიც კი აღარ იყო. ამიტომ თბილისიდან საჩქაროდ ჩამოატანინეს აქლემის ტყავის კარვები, ერეკლეს რომ ყირხ-ბულახის ლაშქრობისას ნადავლად ჩამოუტანია, საჩქაროდვე ნაცრიანი წყლით გარეცხეს, რომ თბილისური ჭირი არ გავრცელებულიყო და სახელდახელოდ გაშლილ კარვებში ათენებინებდნენ ღამეს კახელ მოსამძიმრეებს.

კუბო ოც დღეს სამეფო სასახლის დიდ დარბაზში იდგა და ამ ხნის განმავლობაში დედოფალ დარეჯანსა და მის გერს, ტახტის მემკვიდრე გიორგის შორის ისე დაიძაბა ვითარება, რომ ხალხსაც აღარც ერიდებოდნენ და უკვე ხმამაღლა, დაუზოგავად ლანძღავდნენ ერთმანეთს... გიორგის მრავალრიცხოვანი ნახევარძმისშვილები მამებისა და მგლოვიარე ბებების წაქეზებით ეზოდან ბიძის დასაცინ სახელს ყვიროდნენ:

- ზაქიქამიააააოოოო, ზაქიქამიაააააოოო...

მათ არც გიორგის შვილები და მომხრეები ჩამორჩებოდნენ, დიდი ხის აივნის ქვეშ, მარნის ჩასასვლელთან გროვდებოდნენ და დარეჯანის გასაგონად ხმამალა გაჰყვიროდნენ:

- ნეტავი სად არის „ოსევა მუზიკას მასწავლებელიო...“, (გავრცელებული ჭორის თანახმად ოსევა ყორღანაშვილი დარეჯანის საყვარელი იყო).

ამაზე გაბრაზებულმა ოსევამ, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ სასახლის იმავე დიდი აივნიდან დაუწყო გინება ეზოში, გრძელ მუხის სკამზე მჯდომ გიორგის. აღარც ინფანტილურმა გიორგიმ დაიხია უკან და „ამ მყრალი ყორღანაშვილის,, შეპყრობა და ენის მოჭრა ბრძანა. ლაჩარი მედროვე კუბოს თავში მჯდომ დედოფალთან სანთლის კვამლით ჩახუთულ ოთახში შევარდა, მოტირალს ფეხებზე შემოეხვია და ისტერიული ხმით დაიწყო ყვირილი:

- დედაოოო ჩემოოოო, შენ უნდა მიხსნა ამ ურჯულისაგანაააა!..

ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ცემა-ტყეპის თავიდან აცილების მიზნით კუბო იქვე, თავად ყორღიბაშიშვილების საოჯახო ეკლესიაში გადასვენეს და საკურთხევლის წინ ამბიონზე დაასვენეს. სასახლის ეზოში კი წესისამებრ მეფის ნივთების გამოსაფენ საგანგებოდ მოწყობილ, შირაზიდან ჩამოტანილ უძვირფასესი ხალიჩებით მორთულ ადგილზე განალაგეს ერეკლე II ტანსაცმელი, ჯამ-ჭურჭელი, ტაფები, ქვაბები, კოვზები, დიდი ჩამჩები და მათლაფები, ხმლები, ძველი შუბები, საქართველოს სამი დახრილი დროშა... ოღონდ ამ ყველაფერს დარაჯიც მიუყენეს, მაინც ყოველ შემთხვევისათვის, სანდო არავინ იყო.

გარეთ, ეზოში, დატკეპნილ თოვლიან მიწაზე მჯდომ თავშიშველა მეჯინებებს აღვირით ეჭირათ ძვირფასად, ოღონდ უკუღმად შეკაზმული, გამორჩეული ცხენები მეფისა, ირანული ჯიშის ორი ტაიჭი, ერთი თეთრი, მეორე მოწითალო, რომელსაც შავი ფაფარი და ძუა ჰქონდა. სწორედ ამ ცხენით ავიდა მეფე მთიულეთში კრწანისის მარცხის შემდეგ.

დარეჯან დედოფალი, რომელსაც წელზე ბაზრის დედაკაცივით დედოფალ ეკატერინა II მიერ გამოგზავნილი სქელი, იაროსლავური ჭრელი შალი ჰქონდა შემოხვეული, სტუმრების მისაღებად სასახლის დიდ დარბაზში უმცროს ძეზე, ალექსანდრეზე დაყრდნობილი გამოდიოდა და მისთვის საგანგებოდ მოწყობილ, ხალიჩებით მორთულ დიდ არაბულ ტახტზე მძიმედ და ხვნეშით ჯდებოდა. მის ორივე მხარეს სხდებოდნენ ასაკის მიხედვით ბატონიშვილები, შემდეგ სამღვდელოება და ბოლოს წარჩინებული თავადაზნაურობა ჩამწკრივებულიყო, ოღონდ არა გერი – ტახტის მემკვიდრე გიორგი, რომლის დანახვაზე ნერვიული შეტევა ემართებოდა და აქეთ-იქით ყველას ხმაჩახლეჩილი შესტიროდა, უფრო კი

გერის გასაგონად:

- იკატერინა რუსივით მინდა ვიდედოფლოო.

შავი ჩითის ტანსაცმლით მოსილი სეფექალები ტირილითა და სახის ხოკვით ხვდებოდნენ სტუმრებს, ოღონდ ცალი თვალით დარე-ჯანისაკენ იყურებოდნენ და მისი შემოხედვის მიხედვით ამალვებდნენ ან ადაბლებდნენ მოტირალი ხმის ტემბრს. სასახლის ოთახების კედლები შიგნიდან და გარედან შავი შირაზული ატლასის ნაჭრით დაეფარად. სამგლოვიარო დარბაზსა და სასახლის შესასვლელში მდგარ კარისკაცებს გადატეხილი კვერთხები ეჭირათ.

ბოლმითა და სიკვდილის მომლაშო სუნით გადავსებულ დარბაზში ქუდმოუხდელი არავინ შედიოდა, არც ფერ-უმარილი ჰქონდათ სქელი ლეჩაქ მოსხმულ ქალებს წასმული და ამიტომ უკლებლივ ყველა ქალი, რატომღაც სახეს თეთრი, გაუმჭვირვალე ატლასის ცხვირსახოცით იფარავდა მორიდებით.

სასახლი ეზოში მოთქმით შემოვიდა ზემო ქართლის ყოფილი სარდალი, 80 წელს გადაცილებული თავადი ციციშვილი, რომელიც მეფეს თითქმის ყველა ბრძოლაში ახლდა. იგი ერეკლეს ცხენის უნაგირს გადაეხვია და მწარედ აქვითინდა; წრფელი გულით მისტიროდა ბატონსა და მეგობარს. ტირილითა და სახის ხოკვით მიეგება მას დარეჯან დედოფალი და თითქმის უკვე დაყრუებულ და მარაზში გადასულ გამოთაყვანებულ სარდალს ყურში ჩასტირა:

მიიითხარითიი, ვინლა დამიცააავს, ანდა ვინ მიპატრო-ოოოონეეეებს მე ქვრივ-ოხერსააა...

უამრავმა ადამიანმა დაიტირა უიღბლო მეფის ცხედარი, მაგრამ განსაკუთრებით შეძრა ჭირისუფალნი ქიზიყელი გლეხი ქვრივი ქალის მოთქმამ - „ყოველთა მიეპყრათ ყური მისდა მიერ და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ ერთმა სოფელმან დედაკაცმან დაიტირა გვარი დიდებულისა მეფისა,,

...სამეფო კარზე ყველაზე გამორჩეული და განსწავლული კაცის, ყველასი და ყველაფრის მოძულე სოლომონ ლიონიძის სამგლოვიარო სიტყვა ისტორიასაც კი შემორჩა, რომელიც რატომღაც პეტრე დიდის დაკრძალვისადმი მიძღვნილი ფეოფან პროკოპოვიჩის სიტყვის უგემურ ქართულ გაუმართავ თარგმანს უფრო წარმოადგენდა, დაზეპირებუ-ლივით, რომ იმეორებდა მეფის ცხედართან:

- რად სტირი, სადავითოვ სახლო?! რად სტირით ძენო, ობოლნო მამისაგან... ალვიდა იგი ანგელოსთა თანა, - გარნა აქაცა და მუნ ცოცხალ არს ჰერკულეს იგი...

შემზარავი იყო არაგველთა ტირილი, რომლებამც ერეკლეს სიკვდილი საქართველოსთვის რკინის კარის ჩამოხსნას შეადარეს...

ამ დროს რუსეთიდან ჩამოვიდა ერეკლეს მუდამ დაკოპილი და წარბეზებული ვაჟი მირიანი, რომელსაც იქ რუსთა გენერლის ჩინი მიეღო. 14 წელი არ ენახა მირიანს დედ-მამა. პეტერბურგიდან ევროპაში განსწავლული და მაგნეტიზმით მკურნალი გერმანელი ექიმიც ჩამოეყვანა, რომელსაც „ფილოსოფიური ქვისა და პირველადი ფლუიდების,, შეჯერება-შეზავების გამოყენებით შეეძლო ნებისმიერი დაავადების განკურნება, მაგრამ... ამაოდ.

თელავისაკენ მიმავალ გზაზე, თითქმის შვიდ კილომეტრზე ორივე მხარეს იდგა მგლოვიარე ხალხი. სასახლეს მიახლოებული მირიანი ცხენიდან მარდად ჩამოხტა და სასახლისაკენ ფეხით გაემართა. უკან ადიუტანტი და ევროპულ პოზუმენტებით გამოწყობილი მხლებლები მიჰყვებოდნენ. ბატონიშვილი ბუნდოვნად ამჩნევდა, მის დანახვაზე თუ როგორ ეცემოდა მუხლებზე შავით მოსილი მგლოვიარე ხალხი და შესტიროდა:

- ვინღა გვიპატრონებს ობოლთა და გაჭირვებულთ...
- ვინ განდევნის შემოსეულ მტერს...
- ვინ გაარჩევს ტყუილსა და მართალს...
- ვინ გამოესარჩლება ღატაკთა და სნეულთ...
- დავკარგეთ საქართველოს იმედი...

სასახლის ეზოში მირიანი ჯერ ერეკლეს ცხენს გადაეხვია, ოღონდ ძალზედ ფრთხილად, რომ პეტერბურგში შეკერილი ძვირგასი სამხედრო სამოსი არ გათხვროდა; შემდეგ სამაგალითოდ ატირებულ დედასთან და ძმებთან მივიდა მისასამძიმებლად, სამაგიეროდ იქვე, თუთის ხის ძირში, დიდ მუხის მორზე მჯდომი ტახტის მემკვიდრისაკენ თავიც კი არ მიუტირიალებია...

ეზოშივე მოსამსახურე ბავშვები გრძელი ჯოხებით ზამთრისაგან ფოთოლშემოდარცვულ ხეებზე შემოჯარულ ყვავებს აქმევდნენ, გულის შემაწუხებლად რომ ჩხოდნენ დღე და ღამე...

ამ დროს ქართლში შავი ჭირი მძვინვარებდა, ამიტომ სამეფო ოჯახი რამდენიმე კვირა ელოდებოდა ეპიდემიის ჩაცხრომას, რათა დაკრძალვის ცერემონიალი წინასწარი გეგმით განსაზღვრული სათანადო პატივისცემით გამართულიყო თბილისშიც და მცხეთაშიც. თანაც მიუხედავად ზამთრის ცივი დღეებისა და კუბოში ყინულების ჩაწყობისა, გვამი სწრაფად ფუჭდებოდა. ამის გამოსასწორებლად, თელავისა და სიღნაღის მოურავები ყოველდღიურად ლეკების სოფლებისაკენ ცხენებითა და დიდი ურმებით გარბოდნენ და გრძელი მწვანე ატლასის სანაცვლოდ მათ ზემო კავკასიის მთებიდან ძველი ყინულის დიდ ნაჭრებს ატაინებდნენ მიცვალებულისათვის.

დრო კი არ ითმენდა, არც ჭირის ეპიდემია იკლებდა და ბოლოს



ტახტის მემკვიდრესთან გიორგისთან, შუაკაცების მეშვეობით იმას მიაღწიეს, რომ გადაწყდა – მეფის ცხედარს გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს პირდაპირ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალავდნენ.

ერეკლეს გამოსვენების დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ეკლესიის გარშემო, რომელშიც მეფის კუბო იდგა. თელავში და თელავიდან გასასვლელ გზაზე ხალხის ტევა აღარ იყო. პროცესიის წინა რიგებში ცხენოსანი და ქვეითი ჯარი განლაგდა ორი ზარბაზნითურთ, როლებზეც ძველსლავური გადახლართული წარწერით ეწერა:

- უფალო ადიდე მეფეი ჩვენი ალექსეი, მფლობელი დიდი როსსიისა და ყოვლად არსებული სიმბირისა და პოლსისა...

ორმოცდღიანი ტირილი, სამგლოვიარო წირვა-ლოცვა და გალობა დროებით შეწყდა. ზარბაზნების ყრუ გრიალმა და თოფების სროლამ ხალხს აუწყა, რომ ერეკლეს ცხედარს უკვე მცხეთაში მიასვენებდნენ.

ატყდა ზარების სულის შემძვრელი რეკვა... ეკლესიიდან ატირებული პროცესიის გამოსვლისას კუბოს წინ თვალზე დასიებული და ხელეგაშლილი სოლომონ ლიონიძე გადაუდგა ყვირილით, კუბოს ორივე ხელით მძლავრად ჩაეჭიდა და მგლოვიარეთ მოთქმით შესტირა:

- მომკალით და მეფე ერეკლეს უმაღლესი ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგევეიეს, მეფე ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეიეს...

როგორს იქნა პროცესია დაიძრა გომბორის გზით თბილისისაკენ. პროცესიაზე თითქმის ყველას ჯიბეში ან ყელზე ნივრის აცმა ჰქონდა ჩამოკიდებული ანდა ნივრის კბილს ღეჭავდა, ჭირის თავიდან ასაცილებლად. კუბო ხელით მიჰქონდათ, რომელიც მანამდე ნივრის წვენითვე გაეწმინდათ... გზისპირა მცირერიცხოვან სოფლებში გამოფენილი ხალხი ხმამაღალი ტირილით ბოლო გზაზე აცილებდა თავის მეფეს.

ოცი ათასამდე ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლი მიაცილებდა ერეკლეს ცხედარს. სასაცილოა, მაგრამ ეს იმ დროს, როდესაც კრწანისის ბრძოლაში ერეკლემ ორი ათასი მებრძოლის შეგროვებაც კი ვერ შეძლო ირანელი მიზანთროპის წინააღმდეგ...

თელავიდან წამოსული, გზადაგზა ერთობ შესამჩნევად შეთხელებული სამგლოვიარო პროცესია თბილისს მოუახლოვდა. აბა მამ რა იქნებოდა, ხორველათი სიკვდილი არავის უნდოდა და ამიტომ შავი ჭირის მძვინვარების გამო მეფე თავის ქალაქში ვერ შეაბრძანეს და მცირე ხნითაც ვერ დაასვენეს სიონის საკათედრო ტაძარში...

ოცდაათკაციანი სამგლოვიარო პროცესია მახათას მთის ძირას შეჩერდა, კუბო თბილისისკენ შეაბრუნეს, თითქოს უნდოდათ მეფისთვის მისი საყვარელი ქალაქი უკანასკნელად დაენახვებინათ და ჩქარი ნაბიჯით ავჭალისკენ დაიძრნენ, მცხეთის გამოღმა მოადგნენ გაყინულ არაგვს და

კუბო მდინარის ნაპირთან დასვენეს. არაგვის გაღმა მცხეთელები იდგნენ და მათ ელოდებოდნენ. პროცესიის მოსვლისთანავე, მათ ფეხით გადმოკვეთეს არაგვი, რათა მეფის ნივრის სუნად გაჟღენთილი ნემსი მიეღოთ. კახეთიდან მოსულები კი მათ გადმოსვლამდე უკან გატრიალდნენ, რომ ამ „ჭირიანი ქართლელებისაგან,, სახადი არ შეყროდათ... „ჭირიანმა ქართლელებმაც,, მეფის ნემსი სვეტიცხოვლის კარიბჭესთან საჩქაროდ მიიტანეს, იქ შემოგებულ, არც თუ ხალისით განწყობილ ბერებს საჩქაროდვე გადააბარეს და უკანმოუხედავად გაბრუნდნენ.

თელავიდან წამოსულ ჭირისუფალთაგან, რა თქმა უნდა, არავინ შეჰყოლია მცხეთაში ერეკლეს ცხედარს, გარდა სამეფო კარის მღვდელ მამაო ქრისტეფორე კეჭერაშვილი-ბადრიძისა. შავი ჭირის შიშით ვერავინ ეკარებოდა სვეტიცხოვლის მიდამოებსაც, რადგან სვეტიცხოვლის ეზო და თვით ტაძარი სნეულებით იყო სავსე ღმერთისაგან ხსნის მოლოდინში, ხოლო მდინარის ნაპირზე კი სახადით დახოცილთა დაუმარხავი გვამები ყროლდებოდა.

მამაო ქრისტეფორე იყო ის ერთადერთი მოძღვარი, ვინც მეფის ოჯახს აღუთქვა, რომ საკუთარი სიცოცხლის ფასად აღასრულებდა ყველა ქრისტიანულ წესს და საკადრისად დაკრძალავდა მეფეს მ ა რ ტ ი დ მ ა რ - ტ ო !

1798 წლის სარწუნისის თორმეტს, კვირას, სვეტიცხოვლის ტაძარში მიწას მიებარა კიდეც ერთი ქართველი მეფე... დაასაფლავეს „მუნ, მარჯვენით კერძო შინაგან დიდისა მის ეკლესიისა, ქვემოთ პირისპირ ხატისა მაცხოვრისა, მეუფისა ქრისტე მხსნელისა ჩუენისა...,,

### **სრბოლა თავისუფლებისაკენ**

მველმა ქარიშხალმა როგორც იქნა დიდი წვალებითა და წყევლით ჩაიარა. ღმერთო, კიდეც კარგი, რა. ეს-ესაა დაჰბერა რომანტიზმის სულით გაჯერებულმა მსუყე მეცხრამეტე საუკუნის გრილმა სიომ. გასაცოდავებული საქართველოს ჟამთა სვლით გავერანებულ სოფლებში ჯერ ისევ გაისმის მომრავლებულ შავებში გამოწყობილ ქვრივ-ოხერთა თუ თვალ-ცრემლიან ობოლთა ნაღვლიანი საგალობელი:

- „ღვთისმშობელო, დაგვეხმარე, ნუ გაგვატან ლეკებსაო!,,

თითქოს ისევ დადის დარდისგან გაჰადარავებულ კავკასიონის მთიდან მთაზე ქართლის ჭირის მოზიარე დავით გურამიშვილი და თავისთვის გულამოსკვნილი იმეორებს:

- ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...

თბილისელებს ჯერაც სზარავთ უღმერთო აღა მაჰმად ხანის მიერ

დატრიალებული სისხლიანი კევრი კრწანისის გაბალახებულ მინდორზე, ახლა რომ გამვალტყავებული ძროხები უმადოდ შეექცევიან გადატრუსულ ბალახს...

მაგრამ უგულო ისტორია კი თავისას მოითხოვდა; დრო კრიტიკულ წერტილს უახლოვდებოდა. ერის ყოფნა–არყოფნის საკითხი მანამდე დროზე ადრე იგრძნო ჯიუტი ცოლისაგან თუ ქვეყნის დააუსრულებული პრობლემებით დადარდიანებულმა „ამ მოკლეკოჭა“ ერეკლემ, გაჭირვების ჟამს ქედმოხრილმა მოიწვია ერთმორწმუნე რუსეთი და ჩრდილო კავკასიის მთებში ჩაკარგულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკის დახავსებულ გალავანში მშვიდობა „სამშვიდობო მოქალაქის ძლიერ და მტკიცე ხელს, ჩააბარა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. მაგრამ ძალზე სუსტი და ცივი იყო ჩრდილოელთა მფარველი ხელი, რომლის პულსს აშკარად აყოვნებდა ტოტლებენის თანამოაზრეთა ამბიციური ქმედებანი, და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამას ემატებოდა ქართველ მეფე-დიდებულთა შური და ურთიერთ გაუტანლობა.

ცხოვრება კი კალეიდოსკოპური სიჩქარით იცვლებოდა: 1798 წლის ცივ ზამთარს თელავის ცარიელ სასახლეში სიცოცხლეს ეთხოვება ქართლ-კახეთის „მამა-მამინაცვალი“ ერეკლე, ხოლო 1800 წელს იგივე ცივ ზამთარს თბილისში კაკლის ხისაგან გამოთლილ დიდ არაბულ ტახტზე წყალმანკისაგან კვდება მისი ბედასლი მემკვიდრე გიორგი მეთორმეტე. რუსთ ამაყმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა კი კეთილი ინება და ხელახლა გადაწერა მამამისის, პავლე პირველის დროინდელი ტრაქტატი, რომლის საჯარო წაკითხვა მოხდა საჩქაროდ შეთეთრებულ სიონის დახავსებულ საკათედრო ტაძარში: სექტემბრის ნესტიან დღეს ვიწრო ქუჩაში ორ წყებად დააყენეს დოღებ აბრაგუნებული რუსის ჯარი, ტაძარში ხალხი ძალით შეყარეს, გარედან კი ტაძრის „ყარაულმა“ ავლაბრელმა სომხებმა დაჟანგებული ურდულით ჩაკეტეს, ხოლო დროის სვლით გადახეხილ კათედრაზე მდგარი პროტესტანტი მღვდლის მსგავსად ვიწრო შავ ტანსაცმელში გამოკრული მოხელე კი გაბმული მონოტონური ხმით კითხულობდა:

- „წყალობითა ღვთისათაი, ჩვენ, ალექსანდრე პირველი, იმპერატორი მთელის რუსეთისა და ფინლანდიისა, მეფე პოლონეთისა და ა.შ. და ა. შ., ...საქართველოს გმირული წარსულის დიდებული სამეფო თვალუწვდნელი ცივი იმპერიის პროვინციულ გუბერნიად იქცა.

ახალ წყობას ახალი განკარგულებანიც მოჰყვა – რუსეთში გასახლებას ღებულობს საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, დედამთილისაგან მარად დაჩაგრული და თვალ დამწუხრებული მარიამ ციციშვილი, რომელიც დროის გაყვანის მიზნით მუდამ ჭრელი მუთაქებით გადაჭედულ საწოლში წევს ავადმყოფობის საბაბით, ოღონდ სადამოობით კი არ

ავიწყდება კაკლის ქერქის ნაყენის თმაზე რეგულარული გადავლება გაჭაღარავებული და ცხიმოვანი თმის მოვლის მიზნით... გარუსებული სომეხი გენერალი ლაზარევი პირდაპირ საწოლ ოთახში იჭრება, რათა საწოლიდან გადმოაგდოს ავადმყოფი დედოფალი. ამის გამო, მარიამის გაცხარებული მხლებელთაგანი, იქვე ფეხებთან რომ ეჯდა დედოფალს, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი, რომელიც, მის დედამთილს, ენაჭარტალა მეგრელ დარეჯანს, თუ დავუჯერებთ დედოფლის საყვარელი იყო, იძულებულია „მძობის ტრაქტატი,, ხევსურული ხანჯლით სისხლით შეეღებოს, ფანჯრიდან გადახტეს და ფეხმოტეხილმა ჭირიან ახალციხეს შეაფაროს თავი...

ძალიან მალე დაპირებები ძალადობად იქცა, ძალადობა კი მუხრუჭად; 1804 წლის მთიულეთის აჯანყება პირველი სიგნალი იყო თვითმწყობლობის წინააღმდეგ ბრძოლის ეკლიან გზაზე... გენერალი ტალიზინი ანტიკური ბარბაროსის შესაშური მძვინვარებით ახშობს ამ აჯანყებას ...აღმშენებლის, გიორგის თუ თამარის ტახტს ეპატრონებიან ტიტულიანი მლიქვნელები და უსულგულო ობივატელები, გარეული თუ შინაური, ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა; ყველაფერი შესაშური მიმბამძველობით კეთდება: წვრილმანი ქართველი თუ გადამთიელი მოხელეები ბაკენბარდებს იკეთებენ, ან გრძელ წვერს უშვებენ, იმის მიხედვით, ბაკენბარდებიანი თუ გრძელწვერა რომანოვი იჯდა დიდებულ ზამთრის ოქროსფერ სასახლეში. კავკასიის მთავარმმართველი, ბრწყინვალე კნიაზ გოლიცინი თერთმეტი სახრჩობელის აღმართვას მოითხოვდა დამნაშავეთა დასასჯელად, და მისი უბრწყინვალესობა დიდად აღშფოთებული იყო, როცა მას მხოლოდ ოთხს სთავაზობდნენ. მეორე მთავარმმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი უფრო ღვინის კასრს ეტრფოდა, ვიდრე სახრჩობელას – ჩანესტიანებულ ფოთიდან სიმთვრალისაგან უგონოდ წამოსული, ის მხოლოდ მიყრუებულ სურამში იღვიძებდა, იქაურ დეპუტაციას ღებულობდა და წინა დღის ნაქეიფარი და თვალეზდასიებული დამშვიდებული ჰპირდებოდა, ნუ გენადვლებათ, ნავსადგურს აუცილებლად გაგიკეთებთო. დედაქალაქის გუბერნატორი ბარანოვი დაპატიმრებულებს რკინის გალიაში ჰკეტავდა და „ბუნტოვშიკის,, პიროვნების გამორკვევის მიზნით მას ქუჩაში მოძრავი ზოოპარკის დარად დაატარებდა. ცირკის ჯამბაზები იდეოლოგები ხდებოდნენ, გიჟები არმიას მეთაურობდნენ. ამ უკანასკნელთა შორის კოლორიტული იყო გარუსებული სერბი პოლკოვნიკი შევიჩი, რომელიც მტკვრის რიყიან სანაპიროზე ჯარისკაცებს კუსტარული წესით ზარბაზნებს ამზადებინებდა, რათა მისი სროლით თავი გაერთო, ხოლო გვარდიელებს კი ხელოვნურ ულვაშებს აწებებდა, რათა პარადის დროს ბუმბერაზებად მოსჩვენებოდა. მასვე თურმე ძალზედ ჰყვარებია ფრანგი დრამატურგი ბომარშე, არა იმიტომ, რომ იგი იყო

ავტორი „ფიგაროს ქორწილის,, არამედ იმიტომ, რომ **beau marcher** თარგმანში ნიშნავდა „მარშით სვლას,, ვინმე მეზღვაური კაპიტანი, დაწინაურების მიზნით ბათუმის ხელისუფალთ „გონებამახვილურ,, წინადადებას სთავაზობდა: რევოლუციონერებს თავი მოუყარეთ, მე მათ ხომალდში ჩავსვამ, ზღვაში შევაცურებ და ჩავძირავო. მეორე ოფიცერი უფრო რადიკალურ ღონისძიებებს ადგენდა – თვით ქალაქს წავუკიდოთ ცეცხლიო.

მრავალხმიანი ქართული საეკლესიო საგალობელი შეიცვალა რუსული მონოტონიზმით. ქართული საეკლესიო იერარქია ადგილს უთმობს რუსულ სინოდს, ხოლო გამირული სულის მქონე ქართული ეკლესიის მართველობას „ველიკოდერჟავული შხამით,, გაჯერებული, მაგრამ სულით გამოფიტული ნამირალა მოციქულები ეპატრონებიან. დავითისა და კონსტანტინეს, ქეთევანის, დემეტრეს სარწმუნებრივი თავდადების მაგალითის მიმცემ ერს ცარიზმის აპოლოგეტიკის მწყობრი და მკაცრი ჰიმნი შესთავაზეს. ახლადმოვლენილი ეკლესიის მამები, რომელთა გონებრივი თვალსაწიერი ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დონეს არ აღემატებოდა, პირველყოფილ ადამიანთა დარად იქცეოდნენ: ეგზარხოსი ევგენი ბაჟანოვი, როცა საქართველოში ნიკოლოზ პირველს ელოდნენ, „სანიტარული წესრიგის,, საბაბით კირით თეთრად შეალესვინა სვეტიცხოვლის, ალავერდის, ერთაწმინდის უნიკალური ქართული ფრესკები. სანიტარ ეგზარხოსს მემკვიდრედ მძარცველი ეგზარხოსი მოევლინა: პავლე ლებედევმა სემინარიის რექტორ ჩუდეცკისთან ერთად უღმერთოდ გამარცვა ნამუსდაკარგული იმერელ მეფეებისაგან თავის დროზე უკვე მრავალჯერ გამარცვული ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიის ძვირფასი ხატი. ეს ის მოციქული პავლეა, თანამზრახველ ჩუდეცკის პანაშვიდზე სატანური მგზნებარებით, რომ შეაჩვენა ქართველი ერი.

ამ გულახდილი შავრაზმელების გვერდით იდგნენ უხერხემლო ლიბერალები, რომელნიც უდანაშაულო ადამიანებს ჩამოხრჩობას უწყვეტდნენ იმის შიშით, რომ მეფისნაცვალს არ ვაწყენინოთო... სოფლები აივსო ჯარისკაცებით, რომლებიც ლოთობაში ეძებდნენ თავდავიწყებას, ხოლო პროვინციალური ქალაქები მისტიციზმში გადავარდნილი ოფიცრებით, რომლებიც ირწმუნებოდნენ – ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ააშრიალა ანგელოსმა ეკლესიის ბაირადი ფსალმუნის კითხვის დროსო.

ქვეყანას თანდათან ეკარგებოდა ძველი რაინდული ზნეობის პრინციპები, სულიერი სიწმინდე, როდესაც ქართველის ქურდობის გაგონებაზე, სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი შავებში იმოსებოდა ხოლმე ... საქართველო ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიიწევდა წინ. ფინიშზე კი ეწერა: „თ ა ვ ი ს უ ლ ე ბ ა ,,



ისტორიის დადლილ სარბიელზე უკვე იდგა პირსისხლიანი XX საუკუნე. პირველი მსოფლიო ომი უკანასკნელ ფაზაში შედის; მრავალჭირ-ნახული დიადი რუსეთის უძლეველი ჯარი მარცხზე მარცხს განიცდის. უარესი დღეები შიგნითვე დასდგომია „ერთიანსა და განუყოფელ“, იმპერიას: უზარმაზარი ქვეყანა მიექანება უფსკრულისაკენ, ქვეყანა – რევოლუციით დადლილი, ანარქიით დაღრღნილი, რასპუტინისაგან გარყვნილი...

რევოლუციური 27 თებერვლის პირველი ცნობა გონდაკარგული პეტროგრადიდან პროვინციულ საქართველოში დეპეშით მოვიდა, რომელსაც კონსპირაციული გონებამახვილობით უგზავნიდა კარლო ჩხეიძე კოლეგებს:

- „მთავრობაზე გარდაიცვალა. შეატყობინეთ ნათესავებსა და ნაცნობებს,, თებერვლის უსისხლო რევოლუცია, რასაც მოჰყვა საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევა 1917 წლის ნოემბერს, საწინდარი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა. ოქტომბერი რომ არა ქართული სოციალ–დემოკრატიული პარტია უდავოდ შესძლებდა რესპუბლიკისათვის სრული სუვერენიტეტის მოპოვებასა და შენარჩუნებას სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით. ამიტომ, საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკად გამოცხადების ფაქტი თებერვლის რევოლუციის ლოგიკური შედეგია, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ ვითარებაში განსაზღვრა ოქტომბერმა..

„გათენდა.

ცეცხლის მზე აენთო,

აცურდა,

დროშები ჩქარა..... –

აღმოხდა გალაკტიონს.

„ენა როგორ არ დამუნჯდეს ?

თვალი როგორ არ გაგიჟდეს, –

მზეს დილთაც არ ელოდე

– შუადამით აგიზგიზდეს

ათასი წლის შავი ღამე

ერთმა წამმა გააშუქოს ! –

სასწაული უფრო დიდი ზეცამ

მიწას რა აჩუქოს ?

შესძახებს საქართველოს იმპერიისაგან გამოყოფის გამო ალექსანდრე აბაშელი.

117 წელი ელოდა ქრისტეს კვართის მცველი ერი ამ დღეს. და მოვიდა



იგი – ქრისტეს შობითგან 1918 წელი, 26 მაისი, კვირა. ტფილისში სასახლის წინა მოედანი, სადაც უნდა წარმართულიყო საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა, ხალხით იყო გაჭედილი. სასახლის ბანზე ფრიალებდა შინდისფერი შავ–თეთრ ზოლიანი საქართველოს ეროვნული დროშა, რომლის ავტორი იყო პარიზიდან ახლად დაბრუნებული იაკობ ნიკოლაძე.

კრება ნაშუადღევს, 4 საათსა და 50 წუთზე იწყება. სასახლის დარბაზი გარინდულია. პრეზიდიუმში არიან: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი. პავლე საყვარელიძე, მდივანია ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი. კრების თავჯდომარე ნოე ჟორდანიას დინჯად ადის ტრიბუნაზე და ლიციანი ენით საზეიმოდ აცხადებს:

- მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე ხართ ერთი ისტორიული და ამავე დროს ტრადიკულის აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს...

5 საათსა და 10 წუთზე ლიციანი ნოე ჟორდანიას კრების 42 წევრსა და 38 კანდიდატს ენის ჯლოყინით აცნობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა...

4) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნეობისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს ...

აქტის ოფიციალური გამოცხადების შემდეგ, ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი სასახლის აივანზე გადის და იქიდან ენის ბორძიკით უკითხავს გოლოვინის მოედანზე თავმოყრილ აყაყანებულ ხალხს დამოუკიდებლობის აქტს, ხოლო გრიგოლ ვეშაპელი თავჯდომარის წინადადებით კითხულობს აქტის რუსულ თარგმანს, რომლის შინაარსი მართალია ყველამ ვერ გაიგო, მაგრამ მაინც მოჰყვა მქუხარე ოვაციები.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელის მოწერით ადასტურებს ახმაურებული 98 ადამიანი, რომლის შინაარსის სიწმინდესა და მადლიერებაზე მიუთითებს, მასზე გამოსახული საქართველოს ღერბი –

თეთრი გიორგი შვიდი მნათობითურთ, რომლის ავტორი იყო ქართველთ სიძე გარუსებული ებრაელი იოსებ შარლემანი.

ცხადდება დროებითი მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შედიან მთავრობის პირველი თავჯდომარე რამშვილი, რომელსაც მალე ჟორდანია შეცვლის, ჩხენკელი, ჟურული, ლასხიშვილი, ხომერიკი, მესხიშვილი, ლორთქიფანიძე. კრების დახურვის წინ, თავჯდომარის ნებართვით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ესალმებიან: თურქულად მაჰმადიანთა წარმომადგენელი ახალციხელი ფატ ალი ხანი, დამტვრეული ქართულით ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელი აჭარელი ჰეიდარ ბეგ აბაშიძე, ცივი გერმანულით გერმანელი გენერლებით გარშემორტყმული გერმანიის კაიზერის რწმუნებული ფრიკი.

კრების დასასრულს საჩქაროდ სრულდება კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის მიერ საჩქაროდ შექმნილი სიმღერა „დიდება,, რომელიც მოგვიანებით, 1918 წლის 26 ივნისს ოფიციალურად დებულობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნის სტატუსს... სიხარულით ათრთოლებული ლოცავს და წმინდა გიორგის ავედრებს თავისუფალ საქართველოს აცრემლებული ტფილისის მიტროპოლიტი მამა ლეონიდე.

კრება სადამოს 5 საათსა და 55 წუთზე იხურება... თვითონ დრო კი კვლავ ვიდოდა, – ვიდოდა იგი, ყოვლის მომცველი და ყოვლის მეუფე, მარადიული, დაუსვენარი სრბოლით და ბრძოლით, ტანჯული მარადიულობით და წუთიერი სიხარულით, შობით, კვდომით, აღდგომით... შორს აღარ იყო ის დროც, როდესაც ყველაფრისაგან გაწამებული თბილისელები ამავე სასახლის წინ შეიკრივებიან და ლიციანი ჟორდანიას კაბინეტის გამოღებული ფანჯრის ქვეშ არაყდალეულები ჩონგურზე ხმამაღლა დაამღერებენ:

ჟორდანია კარტს თამაშობს,  
გეგეჰკორი ნარდსაო!  
ყველა დასაჭერი არი,  
ატყვილებენ ხალხსაო...

